ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** შაბათი, 24 ნოემბერი **№ 1650**

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.**

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას, 25 ნოემბერს, 11 საათზე, ქვაშვეთის ეკკლესიაში გადახდილ იქმნება წლის პანაშვიდი ქართულ დასის არტისტი ქალის

ბარბარე ავალიშვილის

და ამავე დასის სუფლიორის

ნ. გალუსტოვის

სულის მოსახსენებლად. (უ. 2—1)

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე"-„ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე" (წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
„	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" (წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით.	11 მ. — კ.
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50 „
1 „	75 „	1 „	1 „ 10 კ.

ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели."**

კვირას, 25 ნოემ ქართული თეატრი ბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

« დაკლებულის ფასებით »

გ. აბაშიძის და სხვათა მონაწილეობით

პარიზის ღარიბ-ღატაკნი

მელოდრ. 5 მოქ. პროლოგით და ეპილოგით დენიერისა, თარგ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, ლეჟავა; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი და სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები დაკლებულია:**

გალერეა 20 კ., პარტერი 50 კ., ლოჟები 3 მ. შეგირდებისათ. კუპონები ლოჟ. 60 კ.

მზადდება: **ვ. გამყრელიძის საბენეფისოდ** ახალი პიესა **«შვილის ცოდვისათვის»**. და **„მუზმუზელა"** (**ტარტიუფი**) **გ. მესხის** მონაწილეობით. რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. გ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ტ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. გეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი დარიბთათვის: უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ **ტელეფონი № 274.** (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ექიმი

ქ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

მთავრობის განკარგულება

სამოქალაქო უწყება:

იმპერატორ ალექსანდრე მე-III მეს სახელობის ბაქოს ვაჟთა გიმნაზიის კანცელარიის მოხელეს კოლეჟსკი სოვეტნიკს კვალიაშვილს ებოძა გუბერნსკი სეკრეტრობა.

ახალ ქალაქის მაზრის გადასახადთა ინსპექტორს კოლეჟსკი სეკრეტარს კვალიაშვილს ებოძა ტიტულიარნი სოვეტნიკობა.

მკითხველთა წერილები

იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული

IX

ამ საგნის შესახებ ბევრი კარგი აზრი წარმოითქვა თქვენს პატივცემულს გაზეთში; უმეტესნი მათგანნი ღირსნი არიან ყურადღების მიქცევისა და აწონ-დაწონვისა.

მსურს, მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა შესახებ იმერეთის თავად-აზნაურობის გაჭირვებულ მდგომარეობისა.

იმერეთი ხომ მეტად ეტანება სწავლა-განათლებას. ეს სწავლის წყურვილი თან-დათან მატულობს, ხალხიც ემატება და სკოლების რიცხვი კი იგივე რჩება. ასე წარმოიდგინეთ, მთელს გუბერნიაში აქამომდე ერთად ერთი კლასიკური გიმნაზიაა და ერთიც ჯერ კიდევ დაუსრულებელი რეალური სასწავლებელი. ამ ორთავე საშუალო სასწავლებელში უმრავლესობა იმერლობაა, უმცირესობა კი სხვა ეროვნებისა; მაგრამ კონკურენცია ჩვენებს მაინც დიდი სჭირიათ, რათა ალაგი სხვებმა არ წაართვან. დღეიდან ხომ ერთი ორად მეტი მეცადინობა დასჭირდებათ, რომ მთლათ სკოლების გარეშე არ დარჩენ ისე, როგორც ტფილისში ემართებათ ქართველებსა.

ვიმეორებ, უმრავლესობა ქუთაისის სასწავლებლებში ჩვენებია და მათის წყალობითაა, რომ ორიოდე სტუდენტობა მოგვეძევება დღეს.

ყოველ წლიური სტატისტიკა აშკარად გვიჩვენებს, რომ ქუთაისის სასწავლებლები მსურველთა ერთ მესამედსაც ვერ აკმაყოფილებს. მაშ აშკარაა, დიდი საჭიროება ყოფილა კიდევ ერთის მაგიერ ორიც რომ მოემატოს.

მთავრობა ველარ ხსნის თავისის ხარჯით; საზოგადოებას მეტად უძნიმს. შველას არსაიდან არ ველით. ან უნდა როგორმე და რითიმე დღევანდელი ქუთაისის სააზნაურო სასწავლებელი დასრულდეს გიმნაზიათ და ან სხვა გიმნაზია გაიხსნას იმ ოცი ათასი მანეთით, რომელიც დღეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას აქვს უმაღლესად ნაბოძები.

იტყვიან: ოცი ათასი მანეთი რას ეყოფაო; ეს მართალია, მაგრამ, შესაძლებელია, ჩვენის მეცადინეობით და თხოვნით მთავრობამ კიდევ რამ დაუმატოს, ქალაქმაც ცოტა სახსარი აღმოგვიჩინოს; სწავლის ქირაც წავახმაროთ და ამ გვარად ერთი გიმნაზია მოგვემატება.

რაც შეეხება იმ კითხვას, რომ ეს ფულები შემოუერთდეს ქუთაისის სააზნაურო სკოლას და დასრულდეს გიმნაზიათ, ამის შესახებ შეიძლება ეს ითქვას, რომ თავად-აზნაურობას ეს სკოლა აქვს დაარსებული ბანკის ხარჯით. ბანკის მოგებას თუ არავინ გვიზიარებს მომავალში,—ნახევარი მილიონი მაინცა აქვს აზნაურობას გამოსატანი ბანკის ძირითადი თანხიდან და ამ ფულებით ყოველთვის გაუძლვება და მოუვლის ერთს გიმნაზიას (სკოლას) (პატარაც რომ სწავლის ფულიც წავახმაროთ).

სტატისტიკა გვიმტკიცებს, რომ ჩვენს დღევანდელს დაღარიბებულს და მეტად დაქვეითებულს თავად-აზნაურობას ერთი საკუთარი სკოლა ველარ ჰყოფნის. ყოველ წლობით უარით ვისტუმრებთ იმდენს, რამდენის მიღებაც კი შეგვიძლია. მაშ მოვალე ვართ, კიდევ სხვა სასწავლებელი გავუხსნათ. ქუთაისის სააზნაურო სასწავლებლის მოსამზადებელს კლასებში პარალელების საჭიროება დიდი ხანია ვიგრძენით; ეს პარალელები ამ 15 წლის წინათ გაიხსნა კიდეც და შემდეგ ძველ სენაკში იქმნა გადატანილი და მას აქეთ იქ არსებობს ოთხი განყოფილებიანი მოსამზადებელი სკოლა. მიუხედავად ამისა საჭიროებამ გამოიწვია და კიდევ გაიხსნა პარალელები ქუთაისის სკოლაში, რომელნიც დღესაც არსებობენ. ეს იმის მომასწავებელია, რომ ვერ ჰყოფნის ეს ერთი სასწავლებელი თავად-აზნაურთა ყმაწვილებს.

ბატონმა ჯანაშიამ გამოსთქვა ის აზრი, რომ 20 ათასი მანეთი სააზნაურო სკოლას მივუმატოთ გიმნაზიათ დასასრულებლათ და გადანარჩენი ფულით რამდენიმე განყოფილება მაზრებში გავხსნათო. ამ პირველი აზრის წინააღმდეგი არ უნდა ვიქნეთ იმ შემთხვევაში, თუ ამ ფულებით ცალკე გიმნაზიის დაარსება ვერ შევსძელით.

მხოლოდ რაიცა შეეხება მოსამზადებელის კლასების მაზრებში დაარსებას, ამის შესახებ კი საჭიროა დაფიქრება; სად სჯობია სასწავლებლები გავხსნათ: ქ. ქუთაისში, თუ დაბებში?

რასაკვირველია, დაბებს უფრო ეჭირვება დაბალი სკოლები, იტყვით. აგრამ საქმე იმაშია, რომ დაბებში ეჭირვება საზოგადოდ სკოლა ყველას: გლეხსაც და აზნაურსაც, ვაჭარსაც და მემამულესაც; სააზნაურო სკოლას კი ჩვენ ვუხსნით მხოლოდ ღარიბ თავად-აზნაურობას. თუ ამათი მიშველება გვინდა, უსათუოთ იქ უნდა გავუხსნათ, სადაც მათ ემარჯვებათ თავის მოყრა, მიმოსვლა და ადვილად ბავშვების შენახვა. ასეთი ადგილია ცენტრი გუბერნიისა—ქალაქი ქუთაისი. ყველას აქ აქვს საქმეები სხვა-და-სხვა დაწესებულებებში, ხშირათ ჩამოსვლა სჭირიათ თუ სავაჭროთ და სხვა რამეებსათვის; გზებიც აქეთ ემარჯვებათ და ბავშვების ბინას ხომ აქ უკეთესს იშოვნიან, ვინმე რომელსამე დაბაში. ასე წარმოიდგინეთ, რაჭალეჩხუმელებს რომ ერთი სკოლა გაუხსნა მაგ. ონში, ბევრი მათგანი ონში ასვლას ქუთაისში ჩამოსვლას არჩევს (მეტადრე ლეჩხუმელები).

მაგალითი უკეთესი არ შეიძლება: ძველსენაკში გაიხსნა 15 წლის წინად ქუთაისის (ჩვენი) სკოლის განყოფილება, რათა იქ უფრო ახლოს, დასამხრისად და საადვილოთ ჰქონებოდა სკოლა სამს მაზრას: სენაკისას, ზუგდიდისას და ოზურგეთისას. პრაქტიკამ კი რა დაგვანახვა?

სრულიად წინააღმდეგი. ის ალაგი უფრო უხერხული ყოფილა თურმე ამ მაზრებისთვის, ვიდრე ქუთაისი. იქ ბინის შოვნაც უჭირთ, მისვლაც არ ეხერხებათ და ჰავაც არ მოსწონთ; ქუთაისს ამჯობინებენ. ამიტომაცაა, რომ სენაკის სკოლაში, ვგო-

ნებ, არც ერთი გურული ბავშვი არ იზრდება დღეს. ამ სამი მაზრის ყმაწვილები დღეს ქუთაისის სააზნაურო სკოლაში უფრო მეტია, ვიდრე თვით სენაკის განყოფილებაში.

ასე წარმოიდგინეთ, ძველი სენაკი ძლიერ მოხერხებულ ადგილად იყო არჩეული; შუაგულიც იყო ამ მაზრებისა, მოსვლაც ადვილი (თუ გზა-ტკეცილებით და თუ რკინის გზით ახალ-სენაკამდის); ახალ-სენაკიდან იქ მოსვლა ეტლით სულ 20—25 კაპეკზე მეტი არ ჰღირს.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სკოლაში არაა საკმაო რიცხვი აზნაურთა ყმაწვილებისა. იქ კლასები ცალიერია და ქუთაისის სკოლაში კი ტევა არაა. იქ თითო განყოფილებაში 40 ყმაწვილს ძვირად ასცილდება და ქუთაისში 60-ს ძვირად ჩამოსცილდება (ზოგიერთში 70-მდინაც ადის).

სულ 4-ს მოსამზადებელს კლასში სენაკში სწავლობს 120—150 ყმაწვილამდე. ისიც ვისგან და როგორ არის შემდგარი? არც წლოვანებით ეუბნებიან უარს, არც გლეხობით. არც სქესობით. გლეხსა და თავადს, ქალს და ვაჟს, ოღონდ კი იქნეს მსურველი, ყველას ღებულობენ, რადგან ალაგი ყველასათვის მოიპოვება.

აი, ბატონებო, ეს იმას გვიმტკიცებს, რომ სენაკის სკოლა უადგილო ალაგსაა გახსნილი და ონში, ზესტაფონში და ოზურგეთში რომ ამ გვარივე სკოლები გავხსნათ, დავინახავთ, რომ ისინი კიდევ უფრო უხერხულნი და უადგილო-ალაგს გამოდგებიან ძველს სენაკზე.

ბატონი ჯანაშია გვირჩევს, სამი სკოლა კიდევ გავხსნათ მაზრებში და ქუთაისის მოსამზადებელი კლასები გავაუქმოთო. ესეც ყოვლად შეუძლებელია. მაშინ ქუთაისის მაზრას რას უშვრებით? მან სად მოამზადოს ბავშვები პირველ კლასამდის? და მერე, იცით, ქუთაისის მაზრა რას წარმოადგენს სხვა მაზრებთან შედარებით? თუ მთლათ არ უდრის სხვა მაზრებს სწავლის წყურვილით და ბავშვების რაოდენობით, მათ ნახევარს მაინც შეადგენს. ქუთაისის მაზრის ყრმათა რიცხვი ყოველ წლიწადს იმდენია, რაჭა-ქუთაისის სკოლამ რომ მარტო ისინი მიიღოს, მაინც ყველას ვერ დაიტევს.

არა, ბატონებო, თუ რომ სასწავლებლის გაფართოვება, ან გაყოფა გვინდა, ქუთაისშივე უნდა გაიყოს, გაფართოვდეს და ყველამ აქ მოიყაროს თავი. მერწმუნეთ, ეს მშობელთათვისაც სასარგებლო და დასამხრისი იქნება და სწავლა-აღზრდისათვისაც უკეთესი. აქ მასწავლებლებსაც უკეთესს აირჩევთ, სწავლის საქმეც უმჯობესად წავა და მოსწავლეთა ბინები და შენახვაც იაფი დაჯდება. მასწავლებლებიც მუდამ ჩივილში არ იქნებიან, რომ ბინასა, საჭმელსა და სასმელს ვერა ვშოულობთ და ცხოვრება გვიჭირსო, როგორც დღეს სენაკის სკოლის მასწავლებლები გაიძახიან.

ქუთაისის სააზნაურო სკოლის მასწავლ.
ს. დაიეშიძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. გვხსომებათ, რომ ირლანდიელი დასის ნიჭიერი მეთაური ჯონ რედმონდი ჩრდილოეთ-ამერიკაში წავიდა. დიდძალი ირლანდიელი სცხოვრობს შეერთებულ შტატებში და ბევრს მათგანს დიდი შეძლებაც აქვს შეძენილი. ირლანდიელი მოღვაწეები ხშირად მიდიან შეერთებულ შტატებში და იქ თავიანთ თანამოძმეებში ფულს აგროვებენ და სთხოვენ, რომ ზნეობრივი დახმარება გაუწიონ ირლანდიის ჰომრულის (საკუთარი პარლამენტი) საქმეს. რედმონდი წინადაც ყოფილა ხოლმე ამერიკის შტატებში და ინგლისის ყველა კოლონიებში (კანადაში, ავსტრალიაში და სხვა) და ხელ-ცარიელი არას დროს არ დაბრუნებულა. ეხლაც, როგორც «დეილი ტელეგრაფ»-ი იუწყება, რედმონდს დიდის აღტაცებით მიეგებებიან ამერიკის მოქალაქე ირლანდიელები. ირლანდიელების მეთაური ჯერ კანადაში მისულა და ქ. მონრეალში მოუხდენია კრება. კრებას ბევრი ხალხი დასწრებია და ყველა თანაგრძნობით მიეგებებია «ირლანდიის შეერთებული ლიგის» მეთაურს. მონრეალიდან რედმონდი შეერთებულ შტატებში ქალ. ჩიკაგოში წასულა. ჩიკაგოში კრებას 6,000 ირლანდიელი დასწრებია და რედმონდის ლაპარაკი დიდის სიამოვნებით და აღტაცებით მოუსმენია. რედმონდს უთქვამს: ირლანდიელების გულის საწადელი მალე ასრულდება და ირლანდიას საკუთარი პარლამენტი მიეცემა. ჩემბერლენი იმუქრება, ირლანდიელი დეპუტატების რიცხვს შევამცირებთ დეპუტატთა პალატაშიო, ეს ბავშვური მუქარაა. ჩემბერლენი და მისი ამხანაგები ისე გაერთვნენ გარეშე საქმეებში, რომ, არა მგონია, თავიანთ მუქარის ასრულება მოახერხონ. მაგრამ თუნდაც რომ ირლანდიელ წარმომადგენელთა რიცხვი მართლაც შეამცირონ, მაინც ამით ირლანდიას ბევრი არა დააკლდება რა: პალატაში 60 ირლანდიელი დეპუტატი მაინც დარჩება და ეს 60 კაციც მოახერხებს და იმავე საქმეს გაარიგებს, რასაც 80 კაცი არიგებდა.

კრებას ილინოისის შტატის გუბერნატორი და სხვა მოხელეები დაესწრნენ.

✡ ინგლისურ ჟურნალ «ნაინტინ სენჩური»-ში ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტის უთ-მისს რეიდის წერილია დაბეჭდილი. ავტორი ამას წინად შეერთებულ შტატებში ყოფილა და იქ ერთ ამერიკელ გამოჩენილ მინისტრთან ლაპარაკი ჰქონია სამხრეთ-აფრიკის ომზე.

ამერიკელ სახელმწიფო მოღვაწეს ეხლანდელ პარტიზანულ ომზე უთქვამს: «ამ ომს მარტო ინგლისისთვის კი არა, მთელი ქვეყნიერებისთვისაც ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვსო. სწორე მოგახსენოთ, არა მჯერა, რომ ინგლისის ერს რიგზე ესმოდეს, თუ რა ძლიერ თანაუგრძნობს მთელი ქვეყნიერობა ბურებს და რა მტრულად უყურებს ინგლისს. ინგლისის ერს არ ესმის, თუ რა განსაცდელში აგდებს თავსა. სათქმელადაც კი საზარელია, თუ რა სამწუხარო შედეგი მოჰყვება ამ ომს. სათქმელად საზარელია, ყველა ის, რაც კი კაცობრიობამ ინგლისის დასუსტების გამო დაჰკარგა. ინგლისის გავლენა საერთაშორისო საქმეებზე ძლიერ დაეცა და ამით განათლებისა და სამართლიანობის საქმეს ბევრი რამ დააკლდა.»

ამის შემდეგ ამერიკის მინისტრმა სთქვა: სხვა-და-სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლება თითქმის ყოველ დღე წერილებსა სწერენ შეერთებულ შტატებს და სთხოვენ, ეცადეთ ბოლო მოუღეთ სამხრეთ-აფრიკის ომსაო. რასაკვირველია, შეერთებული შტატები არ გაერევიან ამ საქმეში: ინგლისმა თითონ მარტოკამ უნდა გადასწყვიტოს ეს საქმე.

ამერიკელ მოღვაწეს ასე დაუსრულებია: «ინგლისმა უნდა კარგად ასწონოს რა გაჭირებაში და რა განსაცდელში ჩავარდება, თუ ყველა ერებმა წინანდელი სიყვარულისა და პატივცემის მაგივრად სიძულვილითა და მტრობით დაუწყეს ცქერა. ნუ თუ ინგლისი ვერა ჰხედავს, რომ უსამართლო ქცევა სამხრეთ-აფრიკაში დიდ ზარალს აძლევს დიდებულს იმპერიას!

ინგლისში ბევრი ჰხედავს და ხმა მაღლა საჯაროდ ჰგმობს ამ უსამართლო ქცევას, მაგრამ უმეტესობასა და მთავრობას ვერა შეასმინეს რა. აქაც ისეა, როგორც ამერიკაში. დიდებული თავისუფალი რესპუბლიკა თითქმის ეს სამი წელიწადია სისხლსა ჰღვრის ფილიპინეს კუნძულებზე. ამერიკაშიაც ბევრი ჰხედავს და ჰგმობს კიდეც ამ უსამართლობას, მაგრამ უმეტესობა და მისი წარმომადგენელი მთავრობა კი მაინც თავისას სჩადის. იქნება ეს გამოჩენილი მინისტრიც, ინგლისის უსამართლობას რომ ასე კარგად ჰხედავს და ასე ლამაზად არჩევს, იქნება თითონ ეს მინისტრიც კი ვერა ჰხედავს, რა საზიზღარ უსამართლობას სჩადის ამერიკა, რა განსაცდელში აგდებს თავსა და ყველა შეგნებულ ხალხს მთელ ქვეყნიერობაზე რა ნაირად შეაძულა თავი.

გერმანია. გერმანელებიც კარგად ჰხედავენ და მთელი ორი წელიწადი ჰგმობენ ინგლისის უსამართლო ქცევას, მაგრამ თავიანთ საკუთარ უსამართლობას კი ვერ ამჩნევენ. სხვისა დარიგება უფრო ადვილია, სინამ თავისი თავისა. რუსთაველს დიდი ხანია უთქვამს: «სხვამან სხვისა უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.» გერმანელი შოვინისტებიც ინგლისელ ჯინგოისტებზე ნაკლებ საზიზღარ საქმეს არა სჩადიან: პოლონელებისათვის სწორედ რომ პირში სული ჰშურთ. კვლავაც მოგვიხსენებია ამაზე ცნობები და აი ეხლა კიდევ რა საქმე ჩაუდენია გერმანელი შოვინისტების ღირსეულ წარმომადგენელს გერმანიის მთავრობას. «რუსსკია ვედომოსტი»-ს კორესპონდენტი სწერს:

«მთელი გერმანია მარტო პოლონელების საქმეზე სწერს და ლაპარაკობს. პოზნანში რუსეთის საზღვარ ახლო ერთი პატარა ქალაქია, სახელად ვრეშენი ჰქვიან. შარშან პრუსიის მთავრობამ განკარგულება მოახდინა: პოლონელების სკოლებში საღმრთო წერილი პოლონურ ენაზე აღარ უნდა ისწავლებოდესო და ყველა საგნები უსათუოთ გერმანულ ენაზე უნდა ისწავლებოდესო. ვრეშენის სკოლაშიაც აასრულეს ეს განკარგულება, მაგრამ უფროსს კლასში ყმაწვილებმა მასწავლებლებს პასუხი არ მისცეს: სანამ პოლონურად არ დაგვიწყებ ლაპარაკს, ხმასაც არ გაგცემთო. თავიანთ ჭკუით მოიქცნენ ასე ყმაწვილები, დედ-მამას დაერიგებინა, თუ პოლონელ მღვდელს დაეტანებინა ძალა,—ეს არავინ იცის, მხოლოდ ის კი უტყუარია, რომ ყველა მოსწავლე ვაჟებმა, თუ ქალებმა—სულ 13—14 წლის ყმაწვილები არიან,—პირი შეკრეს და მასწავლებელს პასუხი არ აღირსეს. გერმანელი მასწავლებელი თითონ რომ ვერას გახდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ადგა და საერო სკოლების ინსპექტორი დაიბარა. ინსპექტორმა ჯერ დაარიგა ყმაწვილები და როცა დარიგებამ არ გასჭრა, უბრძანა ხელ-ქვეითებს, აბა დაჰკარით ბავშვებსაო. ხელ-ქვეითებმაც დაჰკრეს. ბავშვებმა საზარელი ტირილი მორთეს. მასცვივდნენ მეზობლები, ხელად დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა და ინსპექტორს ათას ნაირ მუქარას უთვლიდა. ყმაწვილებს მაინც ისევე სცემდნენ. ამიტომ რამდენიმე ბავშვის დედა სკოლაში შევარდა და სთხოვდა ხალხს—უბედურ ბალღებს უშველეთ რამეო. ხალხმა ქვა დაუშინა ფანჯარებს. ზოგი კიდევ უყვიროდა: «დაჰკარით ამ გერმანელ ძაღლებს, რაზე აწამებენ და სტანჯავენ პოლონელების ბავშვებსაო!» მასწავლებლებმა თავს უშველეს—მოკურცხლეს. პოლიცია მოვიდა და ხალხი სკოლას მოაშორა. ამ საქმის «მოთავე ქალები და კაცები» დაატუსაღეს. შეადგინეს ოქმი და მთელი საქმე ააშენეს: ხალხმა თავი მოიყარა, სკოლას დაეცა და საზოგადო წესიერება დაარღვიაო.

აი ესაა განთქმული «ვრეშენის საქმე.» სასამართლოში ბრალდებული სცდილობდა დაემტკიცებინა: ბავშვები პოლონელი აგიტატორების ნებას ასრულებდნენ. ისე ჯიუტად და კერპად მოიქცნენ, რომ სკოლის უფროსები იძულებულნი იყვნენ დისციპლინისა და მორჩილების დასაცველად სასტიკად მოქცეულიყვნენ. ხალხიც პოლონელმა აგიტატორებმა მიუსიეს სკოლასაო. ბრალდებული ამბობდა, პოლონელებმა წინდაწინვე კრება მოახდინეს და ამ საქმეზე მოილაპარაკესო. კრებაზე ერთმა პოლონელმა დეპუტატმა ილაპარაკა და ურჩია ხალხს: მთავრობას ნებას ნუ მისცემთ, რომ ბავშვებს მამა-პაპის რჯულზე ხელი აიღებინოსო. მაგრამ გერმანიაში ბევრი წითლდება სირცხვილისაგან, როცა ამ საქმეზე ლაპარაკი ჩამოვარდება, და ამბობენ, რომ ამისთანა საქციელი სწორედ თავსა სჭრის გერმანიის ერსა, ამას გარდა სულელობაცაა, რადგანაც ამით ჩვენ არა თუ ვერავის გავაგერმანელებთ, პირიქით, ყველას სიკვდილამდე შევაძულებთ ჩვენ წესებსაო. საწყალი დედები თავიანთ ბავშვებს მიეშველნენ და ამისთანა კეთილ-შობილური საქციელისათვის სასამართლომ ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა: ზოგს 4 თვის ვადით, ზოგს მეტით, ზოგს $2^1/_2$ წლის ვადითაო.

ერთი გავრცელებული გერმანული გაზეთი სწერს: «ჩვენ გვწადიან, რომ აზია და აფრიკაც გავანათლოთ, პოლონელ თანამოქალაქეებს კი ყმებზე უარესად ვექცევით». სხვა გაზეთებიც ძლიერ ჰგმობენ მთავრობის ქცევას და ამტკიცებენ, რომ პოლონელები გერმანიაში ნამდვილად წამებულები არიანო. ეს მაინცაა გერმანიაში, რომ ერის შეგნებულ ნაწილს შეუძლიან თავისი აზრი პირდაპირ მოურიდებლივ გამოსთქვას და მთავრობის ყოველი საზიზღარი საქციელი მკაცრად დაჰგმოს. დარწმუნებული უნდა იყვნეთ, გერმანიაში ყოველთვის გამოჩნდება ისეთი კაცი, რომ უსამართლობასა და ბოროტებას მამაცად შეებრძოლოს. ვინც უნდა იყოს ამ ბოროტების ჩამდენი და მიზეზი, მაინც ყოველთვის იცით, რომ ისე მუქთად არ ჩაუვლის ეს ბოროტება, ყოველთვის ღირსეულ საწყაულს მიიღებს. ისიც უნდა იცოდეთ, რომ პატიოსანი და შეგნებული კაცის ჩივილი არას დროს არ ჩაივლის ცუდად და ჩაიდულის წყალს არ დაჰქდევს, როგორც ზოგიერთ ქვეყანაში.

ახალი ამბავი

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობამ 21 ნოემბრის სხდომაზე, სხვათა შორის, განიხილა თხოვნა ახალციხის მაზრის, აწყურის საზოგადოების სოფ. ღვირის მღვდლის ილია შუბლაძისა სასწავლო წიგნებითა და რვეულებით შემწეობის აღმოჩენის შესახებ. ამ რამდენიმე ხნის წინად ამ სოფელში მღ. შუბლაძის მეცადინეობით დაუარსებიათ წერა-კითხვის სკოლა. გამგეობამ გარდასწყვიტა გაუგზავნოს მ. შუბლაძეს ამ ხანად 30 ცალი ი. ს. გოგებაშვილის „დედა-ენისა" და 100 ცალი ქართული საწერი რვეული

✦ გორის მაზრის ს. ახალქალაქის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ **ქ. შ. წ. კითხვის** გამავრცელებელ **საზოგადოების** გამგეობასთან, რომ ამ სოფელში იაფ ფასიანი ბიბლიოთეკა და სამკითხველო იქმნეს გახსნილი. იმ ცნობების შეკრების შემდეგ, თუ რამდენად მოხერხებული იქნება ახალქალაქში იაფ-ფასიანი სამკითხველოს და ბიბლიოთეკის დაარსება, საზოგადოების გამგეობა შუამდგომლობას აღძრავს სათანადო მთავრობასთან იქ სამკითხველოს დაარსების შესახებ.

✦ ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიას 22 ნოემბრის სხდომაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი ჰქონდა იმის შესახებ, თუ **როგორი ტიპის საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი** უკეთესი იქნება ქალაქ ტფილისისათვის. მკითხველებს ეხსომებათ, რომ, რადგანაც ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების ნებართვა ქალაქის გამგეობას არ მიეცა, სასწავლებელთა გამგე-კომისიამ შეიმუშავა პროექტი განსაკუთრებულ ტიპის სატეხნიკო სასწავლებლისა და წარუდგინა გამგეობას, რომ ამ უკანასკნელს საბჭოში შეეტანა განსახილველად. შემდეგ გამგეობას მოწერილობა მოუვიდა საერო განათლების სამინისტროსაგან და ამასთანავე სტ. სოვეტ. ანოპოვის მიერ შემუშავებულ სატეხნიკო სასწავლებლის ტიპის პროექტი; კომისიას წინადადება მიეცა თვისი მოსაზრება წარმოეთქვა, თუ როგორი ტიპის სატეხნიკო სასწავლებელს ამჯობინებდა იგი. ეს საკითხი განიხილა კომისიამ აღნიშნულ დღის სხდომაზე ხელმეორედ და გამოსთქვა აზრი, რომ ქალაქისათვის საჭიროა ისეთი ტიპის სატეხნიკო სასწავლებელი, როგორც ეს ანოპოვს აქვს შემუშავებული, რის შესახებაც კომისიამ უკვე დასაბუთებული მოხსენება ხარჯთ-აღრიცხვით წარუდგინა ქალაქის გამგეობას ამ რამდენიმე ხნის წინად; რაც შეეხება განზრახულ სასწავლებლის შესანახად საჭირო ფულს, კომისიამ ამის შესახებ ლაპარაკის აღძვრა ნაადრევად ჩასთვალა იმ დრომდე, ვიდრე არ გარდასწყდება საკითხი აღნიშნულ სასწავლებლის ტფილისში დაარსების შესახებ.

✦ ტფილისის მოქალაქეთა მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი **ედიგაროვი**, ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, თანახმად სისხლის სამართლის წესდების 1100 მუხლისა, **დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან**, რადგან იგი პასუხის გებაშია მიცემული, სასჯელთა დებულების 338, 354, 358, 410 და 152 მუხლების თანახმად. აღნიშნულ თანამდებობის აღსრულება, ახალ არჩევანამდე, მიენდო ობოლთა სასამართლოს წევრსა და მოქალაქეთა დეპუტატს თ. ი. ასატოვს, რომელსაც უკვე

მოუვიდა შესაფერი მოწერილობა გუბერნატორისაგან

✦ ქუთაისიდან გვატყობინებენ: „ნოემბერში შესრულდა 25 წელიწადი, რაც ა. ი. **ფიფანიშვილი** ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრად არის. აქაური სასამართ[illegible]ი უწყება დღესასწაულობს ამ დღეს, რათა [illegible]ტივი სცეს დამსახურებულს მოღვაწეს".

✦ ბაქოდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ 22 ნოემბერს, ღამის 12 საათზე, ბაქოს სანავთო რაიონის საზღვარზე ვიღაც კონტრაბანდისტებმა **მოჰკლეს აქციზის მოხელე** გურილოვი, რომელიც მხოლოდ ამ თვის დამდეგს გადმოიყვანეს ამ თანამდებობაზე.

✦ 1902 წლის 1-ლ იანვრიდან გაძლიერებულ იქმნება სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების **შემნახველ-გამსესხებე[illegible] კასსის** მოხელეთა შტატი.

✦ როგორც ვიცით, მესამე სესხის **ობლიგაციების მოპარვის** შემდეგ, ბ. შესტაკოვმა სთხოვა პოლიცმეისტერს ღონისძიება მიეღო ქურდების აღმოსაჩენად. პოლიციას მიუღია ზომები და ეხლა ატყობინებს ქალაქის თავის მოადგილეს, რომ ვერც ობლიგაციები და ვერც ქურდები ვერ აღმოაჩინეს.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტრომ წინადადება მისცა სახელმწიფო მამულების სამმართველოებს, რომ ყოველი ღონე იღონონ და **სახაზინო ადგილების მოიჯარადრეებს** დროზე გადაახდევინონ იჯარა.

✦ გამოფენის უმთავრესი **საექსპერტო კომისია** მუშაობის დასრულების შემდეგ თავის მოხსენებას წარუდგენს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს და კავკასიის მთავარ-მართებლისაგან ნებართვის მიღების შემდეგ გამოაცხადებენ ჯილდოებს.

✦ ტფილისის ქალაქის **სასწავლებელთა [illegible] კომისიამ** ქალაქის სასწავლებლებში **გალობის** მეორე მასწავლებლად 22 ნოემბრის სხდომაზე დადგენილებით დანიშნა ბ-ნი ნატრაძე.

✦ ტფილისის მე 4 ნაწილის ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას შეკეთებულ იქნეს **სოლოლაკის ქუჩა**, რადგანაც მაზედ ეტლების მოძრაობა, განსაკუთრებით გუბერნიის სამართველოს სადგურიდან რტიშჩევის ქუჩამდე, ყოვლად შეუძლებელი ხდებაო.

✦ 22 ნოემბრის სხდომაზედ ტფილისის **სასწავლებელთა გამგე-კომისიამ** განიხილა ვრცელი მოხსენება კომისიის წევრის ბ-ნ ა. ს. ბაბოვისა იმის შესახებ, თუ რა და რა საჭიროებანი აქვს ტფილისის **სახელოსნო სასწავლებელს.** ბაბოვის მოხსენებიდან სჩანს, რომ ეხლა სკოლაში 233 მოწაფეა. საზეინკალო 1-ლ განყოფილებაში—43, მეორეში—95 (სულ 138), სადურგლო განყოფილებაში—62, ლითონის ჩამოსასხმელ განყოფილებაში—**11**, სამჭედლო განყოფილებაში—12. სახელოსნოები სრულებით საკმარისია მოწაფეთა რიცხვთან შედარებით, [illegible]გან სახელოსნო მეტიც არის იქ მომუშავე მოსწავლეების რიცხვთან შედარებით. სახელოსნო სკოლის დირექტორიც ამბობს თურმე, რომ სივრცით სახელოსნო სრულებით საკმარისია. არ არის ისეთი რამ გარემოება, რომელსაც შეეძლოს სწავლის საქმის შეფერხება ან შეწყვეტა. რაც შეეხება იარაღებს, ზოგი შესაკეთებელია და ზოგიც შესაძენი. სულ სკოლის შეკეთებისა და იარაღების შეძენსათვის საჭიროა, ბაბოვის გამოანგარიშებით, 1000 მან. გაღება. კომისიამ გარდასწყვიტა, გადადებულ იქმნეს 1000 მამ. ა. ს. ბაბოვის მიერ აღნიშნულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს გაადიდოს **ზეთის ხილის სახე[illegible] ართვინში.** ამ სადგურიდან უფასოდ მისცემენ ნერგებს მსურველებს.

✦ გუშინ წინ ტფილისის ქალაქის გამგეობას სხდომაზე, ქალაქის მოურავის მოადგილეს ბ-ნ შესტაკოვის წინადადებით, მოლაპარაკება ჰქონდა ქალაქის მესამე **სესხის ობლიგაციების** დამზადების შესახებ. გამგეობამ მოისმინა ამ საქმის შესახები ყველა ცნობები და დაადგინა—მოწონებულ იქმნეს ნიმუში ახალის ობლიგაციებისა, შეუკვეთონ 200 ფურცელი 100 და 1000 მანეთიან ღირებულების ობლიგაციები, რომელნიც, როგორც ნიმუშები, დაეგზავნონ ბანკებს, შეწყვეტილ იქმნეს ხმარება ძველის ფორმის ობლიგაციებისა, შეუკვეთონ 1000 ფურცელი 100 მანეთისა და 700 ფურცელი 1000 მანეთის ღირსებისა, რადგანაც ასეთ ღირსების ობლიგაციებზე უფრო ბევრი მოთხოვნილება არის, შეცვლილ იქმნეს წარწერები ახალს ობლიგაციებზე, შუამდგომლობა იქმნეს აღძრული ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ ახალს ობლიგაციებზე არ იქნეს შეწერილი სალერბო გარდასახადი, რადგანაც მოპარული ობლიგაციების დამზადების დროს უკვე გარდახდილ იქმნა ეს ხარჯი; შუამდგომლობა აღძრან საბჭოსთან, რომ გადაიდოს საჭირო ფული ახალის ობლიგაციების დასამზადებლად და ეხლავე მისწერონ საკრედიტო კანცელარიას, რომ განზრახულ ობლიგაციების ნიმუში მიღებულ იქმნა და სთხოვონ დაბეჭდვა ამ ნიმუშის დაგვარად საჭირო ობლიგაციის ფურცლებისა.

✦ დღეს, 24 ნოემბერს, ავჭალის **სახალხო კითხვათა სადგომში** ქართული სცენის მოყვარენი წარმოადგენენ სუნდუკიანცის სამ-მოქმედებიან კომედიას „დაქცეულ ოჯახს". წარმოდგენა საღამოს 7½ საათზე დაიწყება.

✦ ამიერ კავკასიის სამთო სამართველოს უფროსი ბ. შოსტაკი წავიდა სოფელ გლდანში იქ აღმოჩენილ **ოქროს მადნის** გამოსაკვლევად.

✦ საფრანგეთიდან ტფილისში ჩამოვიდა ორი **ფრანგი ოფიცერი**—კაპიტანი დე ლაფონტენი და პორუჩიკი პეტრი და გაჩერდნენ ორიანტში. გუშინ ეს ოფიცრები კავკასიის მთავარ-მართებელთან იყვნენ სადარბაზოდ.

✦ **მუღანის ველიდან** დაბრუნდა წყალთა ინსპექტორი ბ. პეტროვი. ხსენებულ ველის ერთის ნაწილის მომზადება რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის მზად იქნება ნოემბრისათვის.

✦ პოლიციის **მეოთხე ნაწილის ბოქაული** შუამდგომლობს ამ ნაწილის სადგომის დასაქირავებელ ფულის მომატებას, რადგან 420 მანეთად ძნელი არის შესაფერ სადგომის შოვნაო.

✦ ტფილისში **ჩამოვიდა** სამხედრო სასწავლებლის პედაგოგიურ მუზეუმის დირექტორი გ. მ. მაკაროვი და ამ დღეებში დაათვალიერებს კადეტთა კორპუსს.

✦ გუშინ ვიღაც ბოროტ განმზრახველებს **გაუქურდავთ** ქალაქის თავის მოადგილის შესტაკოვის გარდაცვალებულ შვილის საფლავი და წაუღიათ ორი გვირგვინი.

✦ ტფილისის საქალაქო სამკურნალოში და მის განყოფილებებში წარსულ ოქტომბრის თვის განმავლობაში მივიდა სხვა და სხვა სენით ავათმყოფნი 2750 სული, მათ შორის ავლაბრის განყოფილებაში 296 სული, ხარფუხის განყოფილებაში 349 სული და კუკიის განყოფილებაში 409.

✦ ტფილისის საქალაქო სენით გადამდებ საავადმყოფოში 12 ნოემბრიდან 19 მიიღეს 16 ავადმყოფი წითელათი, ორი დიფტერიტით, მათ შორის გამოიწერა საავადმყოფოდან ორი, ერთი წითელათი და ერთი დიფტერიტით. საავადმყოფოში არის თორმეტი თავისუფალი ალაგი.

✦ ვერეში (ბორჩალოს მაზრა) ხუთ ნოემბრიდან 12 მდე გახდა ავათ წითელათ 26, მათ შორის სამი გარდაიცვალა, ათი მორჩა.

რუსეთის ქრონიკა

∝ გზათა სამინისტრომ წინადადება მისცა რკინის გზის ექიმების კრებას განიხილონ საკითხი რკინის გზებზე საბებიო განყოფილებისა და საბებიო დახმარების მოწყობის შესახებ.

∝ საერო განათლების სამინისტროში დაუარსებიათ განსაკუთრებული კომისია ყველა იმ ცირკულიარების განსახილველად, რომელიც სამინისტროსა და სამოსწავლო ოლქებს გამოუციათ. ხსენებულ სამინისტროს დაარსებიდან დიდ-ძალი ცირკულიარებია გამოცემული და ეს ცირკულიარები ძალიან ხშირად ერთმანერთს არსებითად ეწინააღმდეგებიან, რა მიზეზის გამო სამოსწავლო უწყებამ ხშირად არ იცის, როგორ მოიქცეს. განსაკუთრებულმა კომისიამ უნდა გამოარკვიოს, თუ რომელი ცირკულიარების გაუქმება შეიძლება.

∝ მიწად-მოქმედების სამინისტროს შეუდგენია პროექტი დაბალ და საშუალო სამეურნეო განათლების რეფორმისა. ამ პროექტით, სწავლა ხსენებულ სკოლებში უფრო მაღლა იქმნება დაყენებული, სკოლებს მიეცემათ რეალურ სასწავლებლის უფლებები და „აგრონომის" სახელწოდებას მიეთვისება პირად მოქალაქის უფლებანი.

∝ ამავე სამინისტროს გადაუდვია 20—25 ათასი მანეთი გლეხთა საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად. კარგი იქმნება, თუ ჩვენამდიც მოაღწევს ნაწილი ამ თანხისა.

∝ ამავე სამინისტროს შეაქვს სახელმწიფო საბჭოში წინადადება ბაღოსნობის ინსტრუქტორებისა და ტეხნიკების ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

პრესსა

რეაქციონული გაზეთები საზოგადოთ წინააღმდეგნი არიან ადგილობრივ თვითმართველობის გაფართოებისა; ერობის შემოღება განაპირა ქვეყნებში-კი მეტად საშიშარ რეფორმად მიაჩნიათ. ახლა, როგორც მკითხველებმაც იციან, მთავრობა ამზადებს საერობო რეფორმას დასავლეთ გუბერნიებისათვის. მაგრამ იმ მხარესაც თავისი „ჩერნომ. ვესტნიკ"-ი ჰქონია—„რიუსკი ვესტნკ", —რომელსაც არ მოსწონს თურმე თვითმართველობა და ამხედრებულა ერობის პროექტის წინააღმდეგ. გაზეთი გაიძახის, ყოვლად მოუხერხებელია განაპირა ქვეყნებში ერობა დაწესდეს, რადგან ეს ხელს შეუწყობს „ადგილობრივ სეპარატიზმის" გაძლიერებასო. პეტერბურგის გაზეთებმა სასაცილოდ აიგდეს „რიუსკი ვესტნიკ"-ის შიში; ეს დაჟანგული იარაღია, რომლითაც რეაქციონული პრესსა სარგებლობს რეფორმების შემოღებისათვისო. გაზეთებს მოჰყავთ თავად კრაპოტკინის წერილი «პრიბალტ. კრაი"-ში, რომელიც სასტიკად წინააღუდგა „რიუსკი ვესტნიკ"-ის გაფრთხილებასა და ჭორებს. „სეპარატიზმი" აქ რა შუაში არისო, სწერს თავ. კრაპოტკინი. საზოგადოება ჰფიქრობს, რომ კანცელარია უძლურია ადგილობრივ საქმეების რიგიანად წაყვანაში და განზრახვა აქვს ბიუროკრატიას დაეხმაროსო. რა მოსაყვანია აქ „სეპარატიზმი" ან როგორ უნდა მოიხმარონ სეპარატისტებმა თავის განზრახვისათვის ის დაწესებულება, რომელიც მუშაობს სასტიკ ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშო?!

> „სახელმწიფოს, განაგრძობს ავტორი, შეუძლია ძლიერი ცენტრალური მართვა-გამგეობა იქონიოს და ამასთან ადგილობრივი თვით-მართველობაცა. ამით სრულიად არ შეწყდება კავშირი საზოგადოებრივ ელემენტებისა და სახელმწიფოს შუა; პირიქით, ეს კავშირი უფრო გამაგრდება. შეუძლებელია, სახელმწიფო ყაზარმად გადავაქციოთ, ყველას ერთნაირი ტანისამოსი ჩავაცვათ და ყოველივე ერთი და ამავე წესით ვმართოთ. შვეიცარია ძლიერი და ძალიან შეკავშირებული სახელმწიფოა, თუმცა იქ რამდენსამე ენაზე ლაპარაკობენ; იქ არავის ჭკუაში არ მოუვა ადგილობრივ თვითმართველობას დასწამოს სახელმწიფოს შესუსტება. აქ გარეგნობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მნიშვნელობა აქვს ნდობას; თუ მთავრობა ნდობით ეპყრობა საზოგადოებას, იბადება საერთო ინტერესები და სახელმწიფოც უფრო ძლიერდება. ადგილობრივ თვით-მართველობას უფრო მეტი ძალა აქვს განაპირა ქვეყნისა და სახელმწიფოს შეკავშირებისათვის, ვიდრე ბიუროკრატიას».

თეატრი

ქართული თეატრი. ტასო აბაშიძის ბენეფისი ჯერ ამ სეზონში იშვიათად უნდა ჩაითვალოს: ხალხით სავსე თეატრის დარბაზი, აღტაცებული ახალგაზდობა, დიდ-ძალი საჩუქრები და დაუსრულებელი ტაშის ცემა—აი გარეგანი სურათი გუშინ-წინდელ წარმოდგენისა. ტასო აბაშიძე მეტად კმაყოფილი უნდა იყოს ჩვენის საზოგადოებისა და მით უფრო მართებს, რომ შრომა და ძალ ღონე არ დაზოგოს და გაამართლოს იმედები, რომელიც მის შესახებ აქვთ.

რაც შეეხება პიესების აღსრულებას, ამ მხრივაც საყურადღებო იყო ხუთშაბათის წარმოდგენა. ჯერ ერთი, რომ მობენეფისეს მართლა ისეთი პიესები აერჩია (სანატრელი მეუღლე" და „პარიზელი კინტო"), რომელნიც მის ნიჭის ხასიათს შეეფერებიან, განსაკუთრებით ეგ ითქმის „პარიზელ კინტოზე". ტასო აბაშიძემ ცოცხლად და სინამდვილით დაგვიხატა ტიპი პარიზელ კეთილშობილ გამენისა, ტიპი, რასაკვირველია, ცოტა გალამაზებული და გამშვენიერებული ავტორისაგან, როგორც ეს ზოგიერთ ჩვენ მწერლებს სჭირდათ ამ რამდენიმე ხნის წინეთ.

რაც შეეხება „სანატრელ მეუღლეს", აბაშიძის ქალი უფრო სუსტი იყო, თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ძნელია ახალგაზდა არტისტს, რომელიც სულ მეორე წელიწადია, რაც სცენაზეა, ბევრი მოვსთხოვოთ. მობენეფისეს კარგად გაუგია ფრანგულ ლიტერატურის პარიზელი ქალი—გაბედული და მოხერხებული, ტრფიალების ერთგული მოსამსახურე და თან ოჯახის მოყვარულიც, რასაკვირველია, ცოტა თავისებურად; ქმრის ღალატი მას მაინცა და მაინც არ უჭირს, მაგრამ იმასაც სცდილობს, ქმარი ბედნიერად გრძნობდეს თავს და თავის მოხერხებით, აღწევს კიდეც თავის მიზანს. ვიმეორებთ, მობენეფისეს კარგად გაუგია ამ ქალის ბუნება, მაგრამ გარეგან საშუალებათა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, შესაფერ მანერების უქონლობა ხელს უშლიდა ახალგაზდა მსახიობს სავსებით წარმოედგინა იგი მაყურებლებისათვის. ვ. აბაშიძემ როლი არ იცოდა, არც პარიზელი არშიყის მანერები ჰქონდა, მაგრამ რას იზამ, რომ ღმერთი უსამართლოა და მისთვის ისეთი გასაოცარი მიმიკა მიუცია, რომ ხშირად ყველაფერს გვავიწყებდა.

კარგი იყო ბ. გამყრელიძე «პარიზელ კინტოს» მოხუც გენერლის როლში. დანარჩენები, გარდა ნებიერიძისა, ანსამბლს ხელს არ უშლიდნენ. ნ. გაბუნია უთუოდ იძულებული იყო, ეთამაშა მოხუც დიდდედას როლი, თორემ ის თითონ არ აიღებდა ასეთ მისთვის შეუფერებელ როლს.

სახაზინო თეატრი. უკანასკნელ ხანებში ცოტა მოუხშირეს გამოცხადებულ ოპერების შეცვლა. მაგალითად—„ჰამლეტი"-ს მაგივრად წარსულ კვირას დასდგეს „მაკკავეი", შესცვალეს მომღერლები, 26-საც გამოცხადებულ „მაზეპას" მაგივრად დასდგეს „დუბროვსკი". ასეთი ცვლილებანი ყოველთვის იწვევს საზოგადოების უსიამოვნებას. ოპერა „დუბროვსკ"-ში ყურადღება დაიმსახურა მაქსაკოვმა ტროეკუროვის პარტიაში. ეს არტისტი არც ერთ როლს არ ჰკიდებს ხელს ისე, რომ არ შეითვისოს, არ შეისწავლოს რიგიანად. ყოველთვის სცდილობს მაყურებელთ დაუხატოს სავსე ტიპი მის მიერ ნაკისრ მომქმედ პირისა. კარგი იყო ქ.-ბ. გუშჩინისა ტროეკუროვის ქალის პარტიაში, მეტადრე მეორე და მესამე მოქმედებაში,

22 ნოემბერს დასდგეს „გუგენოტი", მუსიკა მეიერბერისა. ჩვენ ამას წინად შევნიშნეთ, რომ ტფილისის საზოგადოებას სამი-ოთხი რუსული ოპერების გარდა („ევგენი ონეგინი", პიკოვაია ძამა", „თავადი იგორი" და სხვ.) მოსწონთ უცხოელების მუსიკა. წინადაც ვთქვით და ახლაც ვამ-

ბოზთ, რომ მუსიკა გემოვნებას ემორჩილება. „გუგენოტებზე“ ხალხი ბევრი იყო; დაესწრო უმრავლესობა იმათგანი, რომელსაც ვხედავთ მხოლოდ კარგ მუსიკალურ ოპერებში.

ოპერამ ცოცხლად და გრძნობით ჩაიარა. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ქ.-ბ. ბრონსკისამ, მარგარიტ ვალუას პარტიაში, ქ. ბ. გუშჩინისამ ურბანის პარტიაში. პირველმა კარგად აასრულა არიოზი მეორე მოქმედებაში და მეორემ—პირველში. მხოლოდ ერთსაც და მეორესაც ყოველ ღირსებასთან, რომლებიც საჭიროა მათთვის და აქვთ კიდევაც—ხმა, თამაშობა, სიცოცხლე, სილამაზე—ცოტათი კოლორატურა აკლიათ. რაულის პარტიაში როზანოვი მაინცა და მაინც სუსტი იყო. განსაკუთრებული თვისების ხმა აქვს—დაბლა ნოტებში ძლიერი და სუფთა ხმა იმდენად ეცვლება, რომ თუ ყურს დაუკდებთ სხვა ადგილიდან—ორი სხვა-და-სხვა მომღერალი გეგონებათ. კარგი იყო გორიაინოვი მარსალის როლში და კამიონსკი—ნევერისაში.

პროვინცია

ფოთი. საზოგადოთ ფოთი მოკლებულია ისეთ გასართობებს, რომელიც სხვაგან უმართებულოდ არ არის შემოღებული. დღემდის აქაური კლუბის მდგომარეობა ძლიერ აწეწილ-დაწეწილი იყო, რადგან კლუბის ძველი შენობა და სახურავი შეკეთებას საჭიროებდა. საბედნიეროთ, დღეს ჩვენი კლუბის დარბაზი, სცენა და სამკითხველო ისე გამშვენიერდა და გადამაზდა, რომ მომავალში იმედია უფრო მადიანათ, ბევრ ბანქოსა, სამკითხველოს და წარმოდგენების მოტრფიალე პირთ მიიზიდავს. აწი იმედი უნდა გვქონიოთ, რომ შიგ კვირაში ერთხელ მოგრიალე მუსიკა საცეკვაო საღამოების გამართვის დროს, ბევრ ბებრუც «დამა-კავალერს» აუშლის სადერდელს დარბაზში სრიალ-ტრიალ-ბზრიალისას და თავიდან აცდენს იმ უხერხულ მდგომარეობას, რის გამოც მათ ხშირათ სახლში ჯდომით თვალებზე ობი ეკიდებათ.

განახლებული კლუბის დარბაზი, რასაკვირველია, განახლებულ წეს-რიგსაც საჭიროებდა, მით უმეტეს, რომ შიგ ძველად კლუბის წევრებისათვის არავითარი ზნეობისა და გონების გამომაფხიზლებელი საღამო არ იმართებოდა. როგორც ეტყობა, არც ეს გარემოება დარჩენიათ შეუმჩნევლად ზოგიერთ კლუბის უფროს წევრებს. ამისათვის უმთავრესი ყურადღება მიუქცევია დიდათ პატივცემულს კლუბის უფროს წევრს ბოდიგმეისტერს თავ. გ. ს. აბაშიძეს, რომლის თაოსნობით კიდევაც გაიმართა ოთხშაბათს, 21 ნოემბერს, კლუბის წევრთათვის უფასო ქართულ-რუსული წარმოდგენა და სიმღერა. საღამოს, გარდა კლუბის წევრებისა, მრავალი სტუმრებიც დაესწრო და ყველა ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში. ამისათვის მომავალშიაც უსურვებთ დანარჩენ უფროს კლუბის წევრებსაც, რომ მიიღონ თავის თავზე ცოტაოდენი შრომა და საზოგადოებისათვის მიეწოდოთ ისეთი გასართობი საღამოები, რომელიც ადამიანს გონებრივად ასულდგმულებს და აღაფრთოვანებს.

ი. იანქთელი

სასამართლო

გუშინ, 23 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე სისხლის სამართლის განყოფილებამ განიხილა ერთი საყურადღებო საქმე—ავლაბრის მცხოვრებ ქალის მაკა შავერდოვისა, რომელსაც მკითხაობა და ამით ხალხის ფულის ტყუება ბრალდებოდა. მაკა შავერდოვისა კარგა ხანია ავლაბარში მკითხაობს თურმე და სახელიც შეუგნებელ ხალხში იმდენი მოიხვეჭა, რომ მრავალნი ბედის მაძიებელნი მიდიოდნენ მასთან და სთხოვდნენ „წინასწარმეტყველებას“. ამ სახელის მოპოებაში შავერდოვისას შველიდა თურმე ერთი გარემოება: დროიდან დრომდის მას რაღაც ავადმყოფობასავით მოუვლიდა, ქალი სახეზე დაილმიჭებოდა, თმას გაიშლიდა, დაიწყებდა კივილს და ხშირად ხელებით თავში ცემას და შემდეგ მოჰყვებოდა მკითხაობა-წინასწარმეტყველებას. ესევე ემართებოდა თურმე შავერდოვისას, როცა იგი „ხატობას“ მიემგზავრებოდა ხოლმე ტფილისის მაზრის ერთ სოფელში ეკლესიაზე სალოცავად. ხალხი ამ გარემოებას იმითი ხსნიდა, ვითომც მას ამ დროს ეცხადებოდა ციდამ ანგელოზი და მისის შთაგონებით მთხოვნელებს მათს მომავალ ბედზე ესაუბრებოდა. ერთხელ პოლიცია წასტეხია თავს შავერდოვისას, როცა იგი ასეთ დროს ხალხ შემოსეული მკითხაობდა, რის გამოც იგი პასუხის გებაში მიუციათ, როგორც მატყუარა. პირველად ეს საქმე განუხილავს ტფილისის მეოთხე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს, დამნაშავედ უცვნია იგი და გარდაუწყვიტა ოთხის თვით ციხეში დაპატიმრება. მაკა შავერდოვისას მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი განუსაჩივრებია ტფილისის ოლქის სასამართლოში, სადაც ამ საქმის გარჩევის დროს 23 ნოემბერს ეკითხა 5 მოწმეს, რომელთაც განაცხადეს, რომ შავერდოვისას ყველასფერი ავადმყოფობით მოსდის. როცა მას გული შემოეყრება, დაიწყებს ხელების ქნევასა და კივილს, მაშინ ის გრძნობაზე არ არისო და თუმცა ვცდილვართ, მაგრამ ამ შემთხვევის დროს ჩვენ იგი გრძნობაზე ვერ მოგვიყვანია ხოლმე, სანამ თითონვე არ გამოერკვევა ხოლმეო. თვით შავერდოვისამ განაცხადა, რომ მას ემართება ეს ავადმყოფობით და თუ რას ჩავდივარ, მე თვით არ მახსოვს ხოლმეო და ითხოვა გაენთავისუფლებინათ სასჯელისაგან. მისმა ვექილმაც ესევე მიზეზი დაუსახელა სასამართლოს და სთხოვა მისი გამართლება. სასამართლომ ცოტა ხნის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ოთხის თვის ნაცვლად მაკა შავერდოვისას ორის თვით ციხეში დაპატიმრება მიესაჯა.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

23 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე მემკვიდრის დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის დაბადებისა და სახელწოდების დღეს, 22 ნოემბერს სატახტო ქალაქი მორთული იყო ბაირაღებით; ეკკლესიები სავსე იყო მლოცველებით. გარდაიხადეს პარაკლისები. ხოლო განსაკუთრებული სადღესასწაულო პარაკლისი გარდაიხადეს ისააკის სობოროში, სადაც დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენელნი. 22 ნოემბერს გატჩინოს სასახლის ეკკლესიაში პარაკლისი გადაიხადა პროტოპრესვიტერმა იანიშევმა. პარაკლისს დაესწრნენ ხელმწიფე-იმპერატორი, დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, მემკვიდრე და სამეფო საგვარეულოს სხვა წევრნი. მოსკოვში, ვიტებსკში, ყაზანში, კიევში, კოვნაში, ლოდზში, ნოვგოროდში, ტფილისში და ჩერნიგოვში 22 ნოემბერს ხელმწიფე მემკვიდრის სახელწოდების და დაბადების დღეს გადუხდიათ პარაკლისი.

მოსკოვი. მოსკოვის საფარმაცევტო საზოგადოებამ 22 ნოემბერს იდღესასწაულა 200 წლის არსებობა სამხედრო აფთიაქებისა.

ხარკოვი. მთა-მადანთა მრეწველთა სხდომაზე ინჟინერმა ტაბურნომ წარუდგინა პროექტი რკინის გზის გაკეთებისა 1320 ვერსის სიგრძეზე სლავიანსკიდან პეტერბურგამდე, განსაკუთრებით გადასაზიდავად დონის ქვა-ნახშირისა ბალტის მხრის ნავთ-სადგურებში, ხოლო დონისკენ—ტარხნებისათვის და ქვა ნახშირის მადნებისათვის ტყის მასალისა. გზა დაჯდება 59,000,000 მანეთი, შემოსავალი აღნიშნულია 9,000,000, ხარჯი $5^{1}/_{2}$ მილიონი. კრებამ დაადგინა დაეხმაროს პროექტის შესრულებას.

კიევი. გზათა მინისტრისაგან დანიშნულმა კომისიამ მოიწონა ახლად აშენებული კიევო-პოლტავის რკინის გზა. ოფიციალურად გზას ამ მოკლე ხანში გახსნიან.—ტემპერატურა 0-^{0}, თოვს.

ვარშავა. ტელეგრაფის უწყების წარმომადგენელი გერმანიისა ჩამოვიდა, რომ გამოიკვლიოს, რა ნაირად უნდა გაკეთდეს ტელეფონი ბერლინსა, ვარშავასა და პეტერბურგს შუა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ნობელის ამხანაგობისა და „მაზუთი“-ს საზოგადოების ნავთის გადაზიდვა ასტრახანიდან ნიჟნი-ნოვგოროდამდე, სულ ას მილიონ ფუთამდე, იკისრეს აქაურ გემების პატრონებმა $5^{1}/_{2}$ კაპ. ფუთი; უფრო ახლო ადგილებში ამ ფასის კვალობაზე გადაზიდვენ. გემების პატრონები მოვალენი არ არიან ნავთის პატრონთ საწვავი გამოართვან, ამიტომ საწვავ ნივთიერებათა ფასი პირობაში არ არის აღნიშნული.

პარიზი. მემკვიდრის სახელწოდების დღესასწაულის გამო, 22 ნოემბერს რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს; დაესწრნენ: რუსეთის ელჩი, საელჩოს წევრნი და რუსთა კოლონიის წარმომადგენელნი.

სტოკჰოლმი. მეფემ შეიწყნარა სათხოვარი იუსტიციის მინისტრის ანნერსტედტისა; ამის მოადგილედ უპორტფელო მინისტრი ტამერშილდი დაინიშნა. უპორტფელო მინისტრად კი ვესტრინგი დაინიშნა.

ვაშინგტონი. მრავალმა სენატორებმა წინადადება წარადგინეს, რაც შეიძლება მეტი სასჯელი გაუჩინონ ანარქისტებს.

პეკინი. ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, რომ იუ ან-შიკაის განზრახვა აქვს პეიიანგის ესკადრა გააძლიეროს—ინგლისელ ამერიკელ ინსტრუქტორების შემწეობით გააკეთოს; ჩჟილისა და შანდუნის ჯარები უნდათ შეაერთონ და ერთ კორპუსად გააკეთონ ისე, რომ ასი-ათას კაცამდე ავიდეს და უცხოელთა ინსტრუქტორები მეთაურად ჰყავდეს.

ბერლინი. რეიხსტაგის სხდომა. სავაჭრო საქმეთა მინისტრი იცავს სადამოჟნო ტარიფს და არღვევს იმ აზრს, რომ ვითომ სადამოჟნო გარდასახადი მუშათა დამღუპველია. დეპუტატი ფოგელი (რეფორმების მომხრე) და ნისსლერი-კი (სამხრეთ-გერმანიელი, კონსერვატორი) იცავენ ამ აზრს. სოციალ-დემოკრატის ბებელის განმარტებამ გამოიწვია დიდი მოძრაობა. იმპერიის კანცლერი ესარჩლება დაჩაგრულებსო, ამბობს ბებელი.

ლონდონი. 22 ნოემბერს გილდჰომში დიდებული საუზმე გაჰმართეს უელსის პრინცისა და პრინცესის პატივ-საცემლად.

ვრცელ სიტყვაში პრინცმა დაუხატა ნაყოფი იმპერიაში მოგზაურობისა. აღნიშნა რამდენად მჭიდრო კავშირი აქვს მეტროპოლის კოლონიებთან და რა გულ-წრფელი განწყობილება აქვს უკანასკნელებს იმპერიასთან. სალისბიურის სადღეგრძელოში პრინცმა სთქვა: „ცხადია, რასაკვირველია, რომ ახლა ჩვენ ბევრი მტერი გვყავს, რომელნიც მოურიდებლად ამბობენ თვიანთ აზრს, მაგრამ მეორეს მხრით მათ აღმატებულებათა მოგზაურობამ დაამტკიცა, რომ ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ შორეულ მოძმეთა დახმარებისა: ეს ჩვენთვის უფრო მეტად საყურადღებოა, ვიდრე სხვა ხალხთა ზიზღით ჩვენი მოხსენება. მე ფიქრადაც არ მომდის, რომ ამათ შეეძლოთ იყვნენ ჩვენ მოქმედებათა მსაჯულებად და ან კიდევ იმათ სასიამოვნოთ შევცვალოთ ჩვენი მოქმედება. ჩვენთვის ძვირფასი უნდა იყოს ჩვენივე მოძმეთა, შვილთა და ჩვენი იმპერიის აზრი ჩვენ შესახებ. ხოლო იმპერიის ყველა კუთხიდან კი გვარწმუნებენ, რომ ჩვენ არ გადაგვიხვევია ამ გზიდან, რომელსაც ისინი გვიწონებდნენ.“

სევასტოპოლი. დამზადებულის ნახშირის რაოდენობა საშუალოა; ფასები 18--20 კაპ. ფუთზე. კრიზისი მოსალოდნელი არ არის, თუ ნახშირის მწარმოებელნი განგებ არ გამოიწვევენ.

ბერლინი. რეიხსტაგი. ბებელის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ილაპარაკა. ორატორი სტატისტიურის ცნობებით ამტკიცებდა, რომ ხალხის კეთილდღეობა მატულობს, როცა წინეთ 5 მარკა ბაჟი დაადეს პურს, ფასი არ მოჰმატებია. საქსონიის მინისტრმა მეტშმა გამოაცხადა, რომ საქსონიამ ბაჟის შემოღება მოიწონა, რადგან ამით არც წვალი დაიწვის და არც შამფური.

პეტერბურგი. პეტერბურგი სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე სპეშკოვი უმაღლესის ბრძანებით ყაზანის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

(33-й годъ изданія) Открыта подписка на 1902 годъ (33 й годъ изданія)

На еженедѣльный илюстрированный журналъ
со многими приложеніями

„НИВА.“

Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченіе 1902 года:

52 №№ художественно-литературнаго журнале „НИВА,“ заключающаго въ себѣ въ теченіе года около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ.

Первые 12 ТОМОВЪ полнаго собранія сочиненій

Н. С. ЛѢСКОВА,

отпечатанныхъ четкимъ шрифтомъ на хорошей бумагѣ, съ портретомъ и біографическимъ очеркомъ, составленнымъ Р. И. Сементковскимъ. Остальные томы сочиненій Лѣскова, значительно дополненныхъ произведеніями, не вошедшими въ прежнія изданія или еще вовсе не напечатанными, подписчики получатъ въ 1903 году. Въ первые 12 томовъ воидутъ романы: Соборяне.—Обойденные.—Островитяне.—Некуда. Разсказы: Запечатлѣнный ангелъ.—Однодумъ.—Кадетскій монастырь.—Русскій демократъ въ Польшѣ.—Инженеры-безсребренники.—Косой лѣвша.—Очарованный странникъ.—Шерамуръ.—На краю свѣта и мн. друг.

12 ТОМОВЪ полнаго собранія сочиненій

В. А. ЖУКОВСКАГО,

расширеннаго формата, въ 2 столбца, отпечатанныхъ четкимъ шрифтомъ на хорошей бумагѣ, съ портретомъ и біографическимъ очеркомъ поэта. Въ эти 12 томовъ, которые будутъ изданы подъ редакціею знатока Жуковскаго, профессора А. С. АРХАНГЕЛЬСКАГО,—войдутъ лирическія стихотворенія, баллады, повѣсти въ стихахъ, сказки, посланія, мелкія стихотворенія, прозаическія произведенія, дневникъ и письма: Людмила.—Пѣвецъ во станѣ русскихъ воиновъ.—Овсяный кисель.—Шильонскій узникъ.—Поликратовъ перстень.—Кубокъ.—Спящая царевна.—Война мышей и лягушекъ.—Сказка о царѣ Берендеѣ.—Ночной смотръ.—Сельское кладбище.—Орлеанская дѣва.—Ундина.—Наль и Дамаянти.—Рустемъ и Зорабъ.—Одиссея и мн. друг., равно какъ и цѣлый рядъ еще неизданныхъ поэтическихъ произведеній знаменитаго писателя.

12 КНИГЪ «ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ», содержащихъ романы, повѣсти, популярно-научныя и критическія статьи и проч.—СОВРЕМЕННЫХЪ авторовъ.

12 №№ „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ“, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ по фасонамъ лучшихъ мастеровъ.

12 ЛИСТОВЪ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

„СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ“ на 1902 годъ, отпечатанный красками.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годовое изданіе со всѣми приложеніями: безъ доставки: 1) въ С.-Петербургѣ—5 руб. 50 коп. 2) въ Москвѣ въ конт. Н. Н. Печковской (Петровск. линіи)—6 руб. 25 к. 3) въ Одессѣ въ кн. маг. „Образованіе“ (Ришельевск. № 12)—6 руб. 50 к., съ доставкой въ С.-Петербургѣ—6 руб. 50 коп., съ пересылкою во всѣ мѣстности Россіи 7 руб. за границу—10 руб.

Требованія просятъ адресовать: въ С.-Петербургъ, въ главную контору журнала „НИВА“ (А. Ф. Марксу), Малая Морская, д. № 22. (ℨ. 7—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Ноября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.